ოქმი N 15

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 13 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. კობა გოქაძე
3. აკაკი ხურცილავა
4. გია წულაია
5. გოჩა ჯობავა
6. ლაშა ცატავა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 09 ნოემბრის №03/4538 წერილის განხილვა:

- „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;
- „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 6**
**წინააღმდეგი - არც ერთი**
**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 09 ნოემბრის №03/4538 წერილის განხილვა:

- „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;
- „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილია

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი მერიის სამსახურები და ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, ასევე შესაძლებელია ოქმის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭოს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. აღნიშნული დადგენილებით ძალადაკარგულად ცხადდება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N36 დადგენილება.

- მომხსენებელმა განმარტა, რომ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გადაიხედა მერიის საქმიანობის პროცესში გამოყენებული მკაცრი აღრიცხვის ერთ-ერთი ფორმა - „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის ფორმა" და მომზადდა ახალი ფორმა მოწმობის მოქმედ ფორმაში განთავსებული, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებული დაწესებულების დასახელების ცვლილებისთვის („გამგეობა" „მერიით"). შესაბამისად, მერიის მიერ მომზადდა და წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ", რომლითაც ძალადაკარგულად ცხადდება „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N36 დადგენილება. წარმოდგენილია ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტების ფორმების ნიმუშების ენობრივ სისწორესთან სამინისტროს შენიშვნები არ გააჩნია.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს თავმჯდომარეს წარედგინოს დადგენილების პროექტები განმარტებით ბარათთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილთან ერთად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 137-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი კონსულტაციისათვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში წარსადგენად.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 6**

**წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე წარდგენილ იქნეს წინადადება დადგენილების პროექტების „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" და „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ", განმარტებით ბარათთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

კონსულტაციისათვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში წარდგენის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ზერაია